

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისთვის  
სახელმწიფო გრანტების კონკურსი

ელექტრონული რეგისტრაციის დაწყებამდე, გთხოვთ, გულდასმით გაეცნოთ  
კონკურსის პირობებსა და წინამდებარე ინსტრუქციას.

პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის ინსტრუქცია

ზოგადი ინფორმაცია

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველ ყველა მეცნიერს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდზე - [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge) შევსებული უნდა ჰქონდეს პირადი ანკეტა.

მეცნიერის რეგისტრაცია ფონდის ბაზაში მხოლოდ ერთხელ არის საჭირო. რეგისტრაციის შემდეგ ფონდის ბაზაში მეცნიერს ექნება პირადი ანკეტა და მეცნიერს შესაძლებლობა ექნება, მონაწილეობა მიიღოს ფონდის სხვადასხვა კონკურსში.

ყოველ ახალ კონკურსში მონაწილეობისათვის ისარგებლეთ ფუნქციით „პროექტის დამატება“. საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ, განაახლოთ თქვენი ანკეტა.

სახელმწიფო გრანტების კონკურსში „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისთვის“ პროექტს არეგისტრირებს დოქტორანტი. პროექტის შესახებ მონაცემთა ატვირთვამდე დარწმუნდით, რომ დოქტორანტის სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელსაც და თანახელმძღვანელსაც გავლილი აქვთ მეცნიერის რეგისტრაცია.

შედით თქვენ პირად ანკეტაში, დააჭირეთ ღილაკს „პროექტის დამატება“. ეკრანზე გამოჩნდება მოცემული დროისათვის ფონდში მიმდინარე საგრანტო კონკურსების ნუსხა. აირჩიეთ ”დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისათვის“ სახელმწიფო გრანტების კონკურსი და დაიწყეთ თქვენი საგრანტო პროექტის დარეგისტრირება.

პროექტის ატვირთვისას ეკრანზე მოცემულ გრაფებში თქვენ მოგიხდებათ ინფორმაციის შეყვანა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. კლავიატურის გადართვა შეგიძლიათ როგორც თქვენსავე კომპიუტერში, ასევე ელექტრონული წარდგენის სისტემაში ყველა ნაბიჯზე განთავსებული ღილაკის „ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა“ საშუალებით.

- ელექტრონული წარდგენის სისტემაში ყველა ნაბიჯზე შეტანილი ინფორმაცია შეინახეთ „დამახსოვრება/გაგრძელების“ ღილაკის გამოყენებით.

- ვარსკვლავით მონიშნული ველების შევსება სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ელექტრონული ბაზა მომდევნო ნაბიჯზე გადასვლის საშუალებას არ მოგცემთ.

## ნაბიჯი 1. ინფორმაცია პროექტის შესახებ

### 1.1. შეიყვანეთ პროექტის სახელწოდება ქართულად და ინგლისურად.

ჩემი პროექტები
ანვეტის ნახვა
პროექტის დამატება
პაროლის შეცვლა
ადმინისტრირება
გახვლა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისთვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7 8 9

**ინფორმაცია პროექტის შესახებ**

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

პროექტის სახელწოდება \*

ქართულად

პროექტის სახელწოდება \*

ინგლისურად

პროექტის ხანგრძლივობა \*

პერიოდების მიხედვით

<< უკან
დამახსოვრება და გაგრძელება >>

### 1.2. მიიყვანეთ კურსორი ისართან და აირჩიეთ პროექტის ხანგრძლივობა.

## ნაბიჯი 2 სამეცნიერო კვლევის მიმართულება

ჩემი პროექტები
ანვეტის ნახვა
პროექტის დამატება
პაროლის შეცვლა
ადმინისტრირება
გახვლა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისთვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7 8 9

**სამეცნიერო კვლევის მიმართულება**

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

კვლევის მიმართულება 1 \*

კვლევის ქვემიმართულება 1 \*

---

კვლევის მიმართულება 2

კვლევის ქვემიმართულება 2

---

კვლევის მიმართულება 3

კვლევის ქვემიმართულება 3

---

**საკვანძო სიტყვები**

ქართულად

ინგლისურად

- 2.1 აირჩიეთ კვლევის მიმართულება/ქვემიმართულება, რისთვისაც მიიყვანეთ კურსორი შესაბამისი ველის გასწვრივ ისართან, აირჩიეთ სიიდან საჭირო მიმართულება/ქვემიმართულება, მონიშნეთ „მაუსის“ მარცხენა ღილაკით და თქვენ მიერ არჩეული მიმართულება/ქვემიმართულება ჩაიწერება შესავსებ ველში;
- 2.2. ჩაწერეთ პროექტში დაგეგმილი კვლევის საკვანძო სიტყვები ქართულად და ინგლისურად. საკვანძო სიტყვები წარმოაჩენს თქვენი კვლევის ვიწრო სპეციალიზაციას, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი პროფილის რეცენზენტის შერჩევას;
- 2.3. თქვენ შეგიძლიათ მიუთითოთ კვლევის სამი მიმართულება/ქვემიმართულება. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ან მესამე მიმართულების ფარგლებში ქვემიმართულებების ჩამონათვალიდან არცერთი შეესაბამება თქვენს პროექტს, ქვემიმართულებებიდან აირჩიეთ „სხვა“. ასეთ შემთხვევაში თქვენი კვლევის ქვემიმართულების დაკონკრეტება შესაძლებელი იქნება საკვანძო სიტყვების საშუალებით.

### ნაბიჯი 3. პროექტის მონაწილეები:

#### 3.1. პროექტის მონაწილეების შესახებ ინფორმაცია

1. დოქტორანტის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი ავტომატურადაა შევსებული.
2. მიუთითეთ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, დოქტორანტის თანახელმძღვანელის, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, და დაბადების თარიღი.
3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელზე და თანახელმძღვანელზე ინფორმაციის შესატანად დააჭირეთ ღილაკს ”დამატება” და მიუთითეთ საიდენტიფიკაციო ნომერი, რის შედეგადაც დაფიქსირებული სახელი, გვარი და დაბადების თარიღი ჩაიწერება შესაბამის გრაფაში. ხოლო დოქტორანტის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის სახელი, გვარი და დაბადების თარიღი გრაფაში შეიყვანეთ ხელით.

ნული პროექტები
ანკეტის ნახვა
**პროექტის დამატება**
პაროლის შეცვლა
ადმინისტრირება
გახვლა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისთვის სახელმწიფო გრანტების გონვერსი  
**ნაბიჯი:** 1 2 **3** 4 5 6 7 8 9

**პროექტის მონაწილეები**

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

N	სახელი, გვარი	დამადგენის თარიღი	პოზიცია ქართულად	პოზიცია ინგლისურად	წაშლა

**პერსონალის დამატება**

<< უკან
დამანახურება და გაგრძელება >>

#### ნაბიჯი 4. პუბლიკაციები

- 4.1 მონიშნეთ ის პუბლიკაციები, რომლებიც, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად წარმოაჩენს პროექტის თემასთან სიახლოვეს. პუბლიკაციების მოსანიშნად მიყვანეთ კურსორი პუბლიკაციის გასწვრივ მარცხენა მხარეს კვადრატთან და დააწკაპუნეთ.
- 4.2 პროექტში დაფიქსირდება დოქტორანტის, ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის ბოლო 10 წლის მანძილზე გამოქვეყნებული პუბლიკაციები (2001-2011 წლებში).
- 4.3 თუკი პუბლიკაციების სვეტები ცარიელია და არ გაქვთ მონიშვნის საშუალება, ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერ(ებ)ის პირად ანკეტაში პუბლიკაციების შესახებ ინფორმაცია არ არის.

ნული პროექტები
ანკეტის ნახვა
**პროექტის დამატება**
პაროლის შეცვლა
ადმინისტრირება
გახვლა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისთვის სახელმწიფო გრანტების გონვერსი  
**ნაბიჯი:** 1 2 3 **4** 5 6 7 8 9

**პუბლიკაციები**

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

(არაუმეტეს 10 / 0)

ავტორ(ებ)ი	პუბლიკაციის სათაური	ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი.	წელი

<< უკან
დამანახურება და გაგრძელება >>

#### ნაბიჯი 5. ბიუჯეტი

- 5.1. შეავსეთ პროექტის ბიუჯეტი ერთ წლიანი საანგარიშო პერიოდის მიხედვით. პროგრამა თავად დააჯამებს თანხას.  
 ბიუჯეტი იმდენ პერიოდზე იქნება გათვლილი, რამდენსაც მოითხოვს პირველ ნაბიჯზე მითითებული პროექტის ხანგრძლივობა.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისთვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი  
 ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7 8 9

**ბიუჯეტი**

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

**თანხა მიუთითეთ ლარში**

N	ხარჯვის კატეგორია	I ტრანში	II ტრანში	ჯამური ღირებულება
1	პროგრამის თანახელმძღვანელის მგზავრობის ხარჯები			0
2	დოქტორანტის მივლინება			0
	<b>ჯამი</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>

<< უკან დამახსოვრება და გაგრძელება >>

**ნაბიჯი 6. დამატებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

- 6.1. სურვილის შემთხვევაში ქართულად და ინგლისურად შეიტანეთ პროექტის შესახებ ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია.

ჩემი პროექტები ანკეტიის ნახვა **პროექტის დამატება** პაროლის შეცვლა ადმინისტრირება გახვლა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელობისთვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი  
 ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7 8 9

**დამატებითი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

**ქართულად**

**ინგლისურად**

<< უკან დამახსოვრება და გაგრძელება >>

## ნაბიჯი 7 პროექტის რეზიუმე

7.1 წარმოადგინეთ პროექტის რეზიუმე – არაუმეტეს 100 სიტყვისა ქართულად და არაუმეტეს 100 სიტყვისა ინგლისურად. (ივსება ონლაინ რეჟიმში ფონდის ვებ-გვერდზე)

ნუმი პროექტები	ანკეტის ნახვა	პროექტის დამატება	პაროლის შეცვლა	ადმინისტრირება	გახვლა
----------------	---------------	-------------------	----------------	----------------	--------

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების თანახემმდგენელობისთვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 **7** 8 9

### პროექტის რეზიუმე

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

ქართულად (არა უმეტეს 100 სიტყვისა)

ინგლისურად (არა უმეტეს 100 სიტყვისა)

## ნაბიჯი 8. საპროექტო წინადადების ატვირთვა

8.1 ატვირთეთ pdf ფაილში მომზადებული საპროექტო წინადადება ქართულად.

8.2 საპროექტო წინადადება ელექტრონულად აიწყოზა **A4** ფორმატის ფურცლის ზომეზში შემდეგი მოთხოვნების დაცვით: გვერდის მარცხენა მხარეს დატოვეთ **2.5 სმ** სიგანის მინდორი, მარჯვენა, ზედა და ქვედა მხარეს - **1.5 სმ**. ტექსტის სტრიქონებს შორის ინტერვალი **1.0 (Single)**, სათაურებსა და ტექსტს შორის, ცხრილებსა და ტექსტს შორის და სხვა მსგავს სიტუაციეზში დასაშვებია უფრო მაღალი ინტერვალის; სასურველია,

დოკუმენტის ქართული ვერსიის ტექსტურ ნაწილში AcadNusx-ის ან Sylfaen-ის, ხოლო ინგლისურში - Times New Roman-ის №11 ფონტის გამოყენება.

8.3 საპროექტო წინადადება მოამზადეთ ქვემოთ მოყვანილი სქემის მიხედვით:

- ა. პროექტის დასაბუთება
- გ. დაგეგმილი კვლევისა და აქტივობების აღწერა
- დ. დაგეგმილი კვლევისა და აქტივობების ზოგადი გეგმა-გრაფიკი
- ე. მოსალოდნელი შედეგები აღწერა

საპროექტო წინადადების მოცულობა სასურველია არ აღემატებოდეს 6 გვერდს.

დოქტორანტის საგანმანათლებლო პროგრამების თანახემდგენლობისთვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი

ნაბიჯი: 1 2 3 4 5 6 7 8 9

საპროექტო წინადადების ატვირთვა

ქართული კლავიატურის ჩართვა/გამორთვა

Browse...

<< უკან

დამახსოვრება და გაგრძელება >>

### ნაბიჯი 9 დოკუმენტაციის ატვირთვა.

ატვირთეთ შემდეგი დოკუმენტების დასკანერებული ვერსიები:

9.1 ა. დოქტორანტის პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან საგრანტო პროექტის მხარდამჭერი წერილი (ხელმოწერილი )  
(იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტის პროგრამის ხელმძღვანელი და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი სხვადასხვა პიროვნებაა, საგრანტო პროექტის მხარდაჭერის წერილზე აუცილებელია ორივე მათგანის ხელმოწერა);

ბ. იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან დოქტორანტის აკადემიური სტატუსის (მოსწრების)შესახებ (კრედიტების რაოდენობის მითითებით);

გ. ოფიციალური თანხმობა უცხოეთის იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან/სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციიდან, რომელშიც მუშაობს პროგრამის თანახელმძღვანელი და რომელშიც იგეგმება დოქტორანტის ვიზიტები. თანხმობის წერილი დადასტურებული უნდა იქნეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის მზადყოფნა, დოქტორანტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს საკუთარი კვლევითი ინფრასტრუქტურა;

დ. დოქტორანტის პირადობის მოწმობის ასლი.

## **პროექტის საბოლოო წარდგენა**

პროექტი საბოლოოდ დარეგისტრირდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც რეგისტრაციის ყველა ნაბიჯის გავლისა და საპროექტო წინადადების ატვირთვის შემდეგ თავად დააჭერთ ღილაკს „საბოლოო წარდგენა“. ამ ღილაკზე დაჭერამდე და ფონდის მიერ განაცხადების რეგისტრაციის საბოლოო ვადის გასვლამდე შესაძლებელია პროექტის მრავალჯერ რედაქტირება.

**საბოლოო წარდგენით** პროექტი მოცემული სახით დარეგისტრირდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ელექტრონულ ბაზაში საიდენტიფიკაციო შიფრით და პროექტის მომდევნო რედაქტირებას ვეღარ შეძლებთ.

გთხოვთ, დეტალურად გადახედოთ თქვენს პროექტს და მხოლოდ მას შემდეგ მოახდინოთ პროექტის საბოლოო წარდგენა, როდესაც დარწმუნდებით, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია საბოლოოა. პროექტის საიდენტიფიკაციო შიფრი იმის მანიშნებელია, რომ პროექტის საბოლოო წარდგენა განხორციელდა.

ღილაკი „ჩემი პროექტები“ (ეკრანის მარჯვენა მხარეს) გადაგამისამართებთ თქვენ მიერ არჩეული/შევსებული საპროექტო განაცხადების ნუსხაში, სადაც მითითებულია თქვენ მიერ შევსებული საპროექტო განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, პროექტის სახელწოდება და კონკურსის ტიპი. აქვე არის განთავსებული ღილაკები „ნახვა“ და „რედაქტირება“, რომელთა მეშვეობითაც შეგიძლიათ დაათვალიეროთ და შეასწოროთ თქვენი პროექტი.

კონკურსის პასუხისმგებელია ფონდის ვებგვერდზე შევსებული/ატვირთული ინფორმაციის სისწორეზე.

პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ ელექტრონული ბაზა დააგენერირებს „დოქტორანტის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთობლივ განაცხადებას კონკურსის მონაწილეების შესახებ“, რომლის ნაბეჭდი ვარიანტი სათანადო ხელმოწერებითა და ბეჭდით/ბეჭდებით დამოწმებული წარდგენილ უნდა იქნას ფონდის კანცელარიაში.



„დოქტორანტის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთობლივი განცხადებას კონკურსის მონაწილების შესახებ” ფონდის კანცელარიაში წარდგენის გარეშე პროექტი კონკურსში დარეგისტრირებულად არ ჩაითვლება, მიუხედავად ელექტრონული რეგისტრაციის დასრულებისა.

საკონკურსო დოკუმენტაცია (პროექტი (ბიუჯეტთან ერთად), პროექტის რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომელიც ფონდის ვებგვერდზე უკვე შეავსეთ და ატვირთეთ ფონდში ნაბეჭდი სახით აღარ უნდა წარმოადგინოთ.

ფონდში წარმოსადგენია მხოლოდ ”დოქტორანტის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების” ერთობლივი განცხადება კონკურსის მონაწილების შესახებ განცხადებას.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი გისურვებთ წარმატებას!